ეროვნული ბიბლიოთეკა


№ 276

ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | | თვე | მან. კ. | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899


# ივერია


№ 276

ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ქ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ვ. ვ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**

(100—31—67)


## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ პრაპორშჩიკობა გრენადერთა სათადარიგო არტილერიის ბრიგადის ფეიერვერკებს გოგოშიძეს, თავ. ციციშვილს და ანაშის სათადარიგო ბატალიონის უნტერ-ოფიცერს მანჯავიძეს.

გადაყვანილ იქმნა დარუბანდის მე-154 სათადარიგო რაზმის პოლკოვნიკი თავ. ბარათაშვილი—გრენადერთა მე-14 რაზმში.

ებოძა კოლეჟსკი სეკრეტრობა გუბერნსკი სეკრეტარს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის სტოლის უფროსს დავითაშვილს.

დანიშნულ იქმნენ: მოქალაქე ისიდორე ჯაბუა და გლეხი ელიზბარ ლომია ფოსტალიონებად, პირველი—ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, მეორე—ტფილისისაში.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თავისისავე თხოვნით, ჭიულფის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ვლადიმერ დუდაური.

—

ფინანსთა სამინისტროს განცხადება. სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულის დადგენილების ძალით 1887 წ. გამოცემულ ქაღალდის ფულის 25 მან., 10 მან. და 5 მანეთიანის ხმარების უკანასკნელ ვადად დანიშნულია

**1899 წლის 31 დეკემბერი.**

ამ ვადის გასვლის შემდეგ ასეთი ქაღალდის ფული აღარ მიიღება სახელმწიფო გარდასახადად და სავალდებულო აღარ იქმნება კერძო პირთა შორის სახმარებლად.

ნიშნები ამ ქაღალდის ფულისა:

ქაღალდის კაი პირის სურათი ბაც მიხაკის ფერზედ ლურჯად სქლად არის დაბეჭდილი.

წელიწადი გამოცემისა აღნიშნული აქვს ამ ქაღალდის ფულს კაი პირზედ—ხუთ-მანეთიანს (გამოცემა 1892 წლისაზედ არა უგვიანესისა) ძირს და ოცდახუთ მანეთიანს (ყველა 1887 წლ. გამოცემაა)—შუაგულს ადგილას.

ქაღალდის ფულის მეორე პირზედ დაბეჭდილია გარდი-გარდმო სურათი, რომლის შუაშიაც სახელმწიფო გერბია, მარცხნივ სხვილად დაბეჭდილი რიცხვი აქვს, ხოლო მარჯვნივ მანიფესტიდგან ამოწერილი სიტყვები, და დაბეჭდილია:

5 მანეთიანი—ლურჯის წამლით.
10 მანეთიანი—წითელის წამლით.
25 მანეთიანი—სოსანის წამლით.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს გარდაეცა განსახილველად ქალაქის საბჭოს დადგენილება უსახელო საზოგადოებასთან ახალ ხელშეკრულობის დადების შესახებ.

*** ტფილისის ქალაქის მოურავმა წარუდგინა გუბერნატორს სენატში შესატანად თავისი საჩივარი ტფილისის ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს იმ დადგენილებაზედ, რომლის ძალითაც უნდა გაუქმებულ იქმნას სოფლის ნაწარმოებთა ეტლების გარდასახადი.

*** ტფილისის გუბერნიის უფროსმა წინადადება მისცა ახალციხის ქალაქის მამასახლისს, შემატყობინეთ იმ შემწეობის რაოდენობა, რომელსაც ახალციხის ქალაქის თვით-მმართველობა თხოულობს ჯარისათვის ბინების დასაქირავებლად და სატუსაღოს გასათბობ-გასანათებლადაო; ამასთან დაწვრილებითი ცნობები მომაწოდეთ ქალაქის ვალისა და დარჩენილ გარდასახადთა შესახებაო.

*** ტფილისის საგუბერნიო მთავრობას დაუმტკიცებია გორის მაზრის სოფ. ქვიშისისა, ბერისანდარისა, ბეშენიისა და ვარიეენის მცხოვრებთა განაჩენი სოფ. ქვიშისში სამრევლო სკოლის დაარსების შესახებ.

*** მთავრობას, როგორც „ცნ. ფ.“-ს შეუტყვია, არ შეუწყნარებია სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გადადებულიყო საერო თანხიდგან 45,000 მან. ქუთაისის სამეურნეო სკოლისათვის.

*** იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ქუთაისის გუბერნატორის წარდგენილების თანახმად საერო თანხიდგან 200,000 მან. გადაიდეა სვანეთში გზა-ტკეცილის გასაყვანად.

*** მანთაშევის მიერ შეწირულ ნავთიდგან ამ დღეებში ქალაქს გაუყიდნია 1,000 ფუთი. ნავთი კიდევ არის გასასყიდი.

*** დღეს, 22 დეკემბერს, მთავარ-მართებლის სასახლეში მიიღებენ სამსახურის კაცთა და იმათ, ვისაც თხოვნა აქვთ რამე მისართმევი.

*** 17 დეკემბერს ქ. ახალციხეში ქალაქის რწმუნებულთა კრებაზედ მოხდა ქალაქის მამასახლისისა და მისის თანაშემწის არჩევნები; არჩეულ იქმნენ მომავალ ოთხის წლისათვის (1899—1903) ქალაქის მამა-

# ფელეტონი

### ქუნჩუკის ნახტომი

(ჩერქეზთა წარსულ ცხოვრებიდგან)

(დასასრული *)

### VIII

შავი ღრუბლები ჩამოსწოლოდა ქალაქ ანაპს. ხანდახან გაიელვებდა და გაანათებდა ბნელ ზეცას, გრგვინვა და ქექა-ქუხილი როგორღაც ყრუდ გაისმოდა... წვიმა სხვილ-სხვილ ცვარად ჩამოდიოდა. დაძინებულ ქალაქს მკვდარი სიჩუმე დასტრიალებდა თავს, მხოლოდ ხანდახან თუ დაარღვევდა ამ სიჩუმეს ქალაქის დარაჯების ერთმანეთში გამოხმაურება... ამ დროს აღმოსავლეთის ქალაქის ერთ გალავანზედ იდგა დარაჯად ფაშის მოღალატე ჩერქეზი—მამთალი. მის სახეს რაღაც მოუთმენლობა ეტყობოდა: ხან გადაიხედავდა გალავნის გარედ, ვარსკვლავებს შეაცქერდებოდა, თითქოს ამით დრო უნდა გაეგო, და ხან სმენად გარდაიქცეოდა ხოლმე.

—ოჰ, ჩქარა... ჩქარა! წაიბუტბუტა მამთალიმ, მოთმინება შემომელია, რა გვიან გადის ეს დრო, თითქო ასეთი დიდი არ იყო ეს ღამე... იქნება არ მოვიდნენ... მომატყუა?.. არა, არ შეიძლება... ქუნჩუკი პირს არ გადავა... ამაზედ კარგ შემთხვევას როდისღა ჰნახავს?.. ვინ იცის, რა ტკბილადა სძინავს ეხლა ფაშას... რას იფიქრებს, რომ ეხლა სიკვდილი თავს დასტრიალებს?..

ამ დროს რაღაც შრიალი მოესმა. ჩაიხედა ძირს, გალავანს გარეთ, და სიბნელეში რამდენიმე კაცი გაარჩია, რომელნიც ნელ-ნელა ფეხ-აკრეფით ეშვებოდნენ არხში. სიხარულის ჟრჟოლამ აიტაცა მამთალი. იმისს სახეს სიამოვნების ფერმა გადაჰკრა. აჰა იყვნენ კიდეც მამალმა... სიფრთხილისათვის დარაჯმა ჯერ გაიხედგამოიხედა, შემდეგ ჩაუშვა გალავნიდგან გარეთ არხში გრძელი კიბე და, როგორც გველი, ფრთხილად ჩავიდა ძირს, სადაც დახვდა მას ქუნჩუკი თავისის ორასის შეიარაღებულ მეომრით.

—აბა, დროა! მომყევით, წაუჩურჩულა მამთალიმ ქუნჩუკს ყურში.

აიშალა ეს ორასი თავ-განწირული კაცი და ისე ფრთხილად და უხმაუროდ გადავიდა თითო თითოდ გალავანზედ, რომ ჩიტსაც-კი ვერ გამოეღვიძებოდა მათ ფეხის ხმაზედ. გადავიდნენ გალავნის შიგნით თუ არა, წაუძღვა მამთალი ფაშის სასახლისაკენ.

—რა ხმაურობაა... ვინ ხართ?!. შეჰყვირა ერთმა სასახლის კარების დარაჯმა, როცა მიუახლოვდნენ ჩერქეზები. იმისს ხმაზედ წამოცვივდნენ სხვა დარაჯებიც და სიფრთხილისათვის თოფები მოიმარჯვეს. მაგრამ ერთი წუთი საკმარისი იყო ქუნჩუკისა და მისის მეგობრებისათვის, რომ მუსრი გაევლოთ... შეამტვრიეს კარები და შეცვივდნენ სასახლეში. ჰლეწავდნენ, ჰგლეჯდნენ და ვინც რომელიმე ნამძინარი, შიშისაგან ზარდაცემული სასახლის მოსამსახურე დაჰხვდებოდათ, სიცოცხლეს უსპობდნენ შეუბრალებლად...

ამ ხმაურობაზედ მთელს სასახლეს გამოეღვიძა. შეშინებული, ტიტველშიშველი ჰარამხანის ქალები (ფაშის) გარბოდნენ და გამორბოდნენ გზააკვალ არეულნი წივილ-კივილით სახლის დერეფნებში. გაავფთრებული ქუნჩუკის მეომრები ტყვედ იჭერდნენ თან წასაყვანათ.

ქუნჩუკი და მამთალი პირდაპირ ფაშის ოთახისაკენ გაეშურნენ.

—ჰოი, შე მსუქანო ძაღლო! შეჰყვირა ქუნჩუკმა, ფაშა რომ დაინახა: ვერ დააფასე ჩემი ერთგულება და სიკეთე? მაშ იქნება მტრობა მაინც დააფასო.

—ჩვენ კიდევ მოვასწრობთ ერთმანეთთან ანგარიშის გასწორებასაო, სთქვა ფაშამ: ჯერ ამ მოღალატეს უნდა გადუხადო სიკეთე... გავარდა დამბაჩა და მკვდარი მამთალი დაეცა ძირს.

—ეხლა შენი ჯერია. ამ სიტყვებით ამოიძრო ფაშამ მეორე დამბაჩა, მაგრამ ვიდრე ჩახმახს ფეხზედ შეაყენებდა, იელვა ქუნჩუკის მრისხანე ხმალმა ჰაერში და თავ-შუაზედ გაჩეხილი ფაშა სისხლის ფრქვევით დაეცა ძვირფასის ხალიჩებით მოფენილ იატაკზედ...

ანაპი იწვოდა. ცეცხლის ალი რამდენსამე ალაგას გამოჩნდა. ნაცრის ფერი ბოლი ავარდა და ნისლად გადაფარა ქალაქს. შიშისაგან თავზარ-დაცემული მცხოვრებლები წივილ-კივილით დარბოდნენ ქუჩებში, რომ თავი დაეღწიათ საშინელის ცეცხლისაგან. ქუნჩუკი და მისი ჩერქეზები მდიდარ ნადავლითა და გულლით გავიდნენ ანაპიდგან და სისწრაფით გაეშურნენ სამშობლოსაკენ.

ქუნჩუკი ჩამორჩა უკან და ერთის გორაკიდგან კარგა ხანს სტკბებოდა თავის შურისძიებით. რამდენიც ცეცხლის ალი ავარდებოდა და ოქროს ფრად შეჰღებავდა ბნელ არე-მარეს, იმდენად რაღაც განუსაზღვრელი სიამოვნება ეფინებოდა მის გულს.

შემოახტა შემდეგ თავისს ტაიჭს და გაჰქუსლა ამხანაგების დასაწევნელად.

### IX

საღამო იყო, როდესაც ჩერქეზები მდინარე სხაგუაშის (თეთრი) პირას მივიდნენ და ღამის სათევლად დაბანაკდნენ. თავისუფლად და უშიშრად ამოისუნთქეს ჩერქეზის შვილებმა, რომ დაინახეს მდინარე, სავსე მათის სამშობლო მთების ცრემლებისაგან... სხაგუაშის იქით იწყებოდა გაშლილი

*) იხ. „ივერია“ № 275.

სახლისად გ. ნ. მოსესოვი, ხოლო მის თანაშემწედ ა. ბ. გაზაროსიანი.

⁂ გუშინ, 21 დეკემბერს, ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან დანიშნულ იყო საჯარო გასასყიდად ტფილის გარედ ქალაქის მამულები რიცხვით 128. გასყიდვამდე დახსნილ იქმნა გასყიდვისაგან 120 მამული, რადგანაც პატრონებმა ბანკში შესატანი ფული შეიტანეს. დარჩა გასასყიდად რვა მამული, რომელზედაც თავნი ვალი იყო 63431 მან. და 42 კაპ. აქედამ გაიყიდა ექვსი მამული 123,399 მანეთად. ხელმეორე გასასყიდად დარჩა ორი მამული, რომელთაზედაც თავნი ვალია 20986 მანეთი და 10 კაპ.

⁂ ქ. დუშეთის ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა: დაწესებულ იქმნას დუშეთში საბაზრო დღეები ხუთშაბათობით და კვირაობით და ამ დღეებში სოფლის ნაწარმოებთა ეტლები თავისუფალი იყოს გარდასახადისაგანაო.

⁂ ქალაქის გამგეობა იუწყება, რომ დღესასწაულების გამო, კვირას, 26 დეკემბერს, ნება დართულია დუქნებ-მაღაზიების გაღება და ვაჭრობა.

⁂ თუმცა რიყეზედ თითქმის მხოლოდ ღარიბი ხალხი სცხოვრობს ამის მიუხედავად ქალაქის გამგეობას საჭიროდ არ უცვნია ქალაქის ამ ნაწილშიაც გაჰყიდოს მანთაშევისმიერ შეწირული ნავთი.

⁂ ტყიბულის სადგურიდგან გაზეთს „კავ." აუწყებენ, რომ სამთო საზოგადოების „ნახშირას" ქვანახშირის მაღნებში ნიადაგი გამსკდარა და ამ გარემოებას რამდენიმე დღით მუშაობა შეუწყვეტნია. ამის გამო შეუჩერებიათ ქვანახშირის გაზიდვა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ და ოდესაში.

⁂ ს. სკანდე. (შორაპნის მაზრა). წარსული წლის 20 აპრილს, აზ. შანშე ლოლაძის მეთაურობით, აქ შეუდგნენ ახალის ეკლესიის აგებას. სხვა წვრილმან ხარჯს გარდა, მასალა შენობისა და ოსტატების ხელფასი ნაანგარიშევი იყო 12,000 მან. 117 გლეხთაგან თითოს უნდა გაესტუმრებია ამ ფულიდგან 40 მან., დანარჩენი ხარჯი იკისრა საქმის მოთავემ ბ-ნმა შ. ლოლაძემ. შენობა ეხლა თითქმის მზათ არის, გუმბათის და სამრეკლოს გარდა და მომავალს ზაფხულზედ აკურთხებენ. როგორც ამბობენ, 12,000 მან. არ ჰყოფნის ეკკლესიის შენობის მორთვას; ზედ მეტი მოუნდება 4780 მან.

⁂ პოლიციის მოხელენი ამ ჟამად ათვალიერებენ საკანდიტეროებს და სხვა დუქნებ-მაღაზიებს, სადაც საშობაო და საახალწლო საგნები იყიდება, რათა გამოკვლეულ იქმნას, შეღებილია თუ არა ეს საგნები შხამიანის წამლებით.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, ერთის კვირის განმავლობაში აადებინეთ ქალაქის სასაკლაოს მახლობლად მყოფი ხაშის დუქნები, მეტის-მეტის უსუფთაობის გამო.

⁂ ქართლი. გაზაფხულზედ სეტყვამ გაანადგურა ზემო ქართლის სოფლები და შემოდგომაზედ საქონლის ჭირმა. ზოგ-ზოგ სოფლებში ზაფხულშივე იყო საქონლის ჭირი, მაგრამ ისე კი არა, როგორც ეხლაა მოდებული. მაშინ საჩქაროდ ზომები იხმარეს და მოსპეს; შემოდგომაზედ-კი გვიან მიაქციეს ყურადღება. ვინ მოიტანა ჭირი საქონლისა? ზემო ნიქოზში ერთი ჩარჩი ჰყიდდა საქონელს. საქონელი თითქოს საღი იყო, მაგრამ ვინც იყიდდა, მეორე დღესვე უკვდებოდა ხოლმე; იმ საქონლიდგან სხვაზედ გადადიოდა და ასე ამ გვარად გაიდგა ფესვი, მაგრამ გამოგზავნილ იქმნენ ბეითლები, რომელთაც საჩქაროდ მოსპეს სენი. ამ ჩარჩმა შემოდგომაზედ ოსებში ჩუმად გაჰყიდა საქონელი და ამ გვარადვე მოსდო ჭირი. როგორც ამბობენ, საქონლის ჭირი ფრონის ხეობაშიაც ყოფილა, სახელდობრ: ს. სამწყალსა, ფრინევსა, საყარაულოსა და სხვაგან.

⁂ ბათუმის ქალაქის გამგეობას შეუმუშავებია ბათუმში ცხენის ანუ ელექტრონის რკინის გზის პროექტი. ამ პროექტით გზის საზოგადო სიგრძე იქნებოდა 7 ვერსზედ მეტი.

⁂ „კავკ."-ის სიტყვით, შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ ქ. კავკავში დაარსებულ იქმნას მეორე ყოველდღიური გაზეთი.

⁂ გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს სახაზინო თეატრში დანიშნულია ბენეფისი ამ თეატრის კასსირის ბ-ნის ა. მ. მირიმანოვისა, რომელსაც კარგად იცნობს თეატრში მოსიარულე საზოგადოება. წარმოდგენილი იქმნება ოპერა „ერნანი", რომელშიაც საუკეთესო არტისტები იღებენ მონაწილეობას, და აგრეთვე მესამე მოქმედება ბალეტისა „Fxcelsior".

⁂ ამ უკანასკნელ წლებში ქართველ ხელოსნებს თვალ-საჩინოდ დაეტყოთ გამრავლება. ამ 20 წლის წინად, ტფილისში ყველა მეჩექმეთა შორის ორ რიგიანს ქართველ ხელოსანს ვერ იპოვიდით, და თუ იყო ვინმე, ისიც სხვას ჰყავდა ხელში ჩაჭერილი. წინად მთელი ეს ხელობა ნემეცებს ეჭირათ, შემდეგში მათს ადგილზედ სომხები ჩასდგნენ.

ამ ჟამად კი ქართველი ხელოსნებიც შეგხვდებათ თითქმის ყველა სახელოსნოში. მათ შორის ზოგი მეჩექმე ევროპიელ ხელოსნებს არაფრით ჩამორჩება. ასეთნი არიან ევროპიულ ჩექმების მკერავნი: ბ. ივ. ქურთიშვილი, მ. ალდომელაშვილი, პ. პეტრიაშვილი, გ. მეტრეველი და რამდენიმე სხვა. ამ ბოლო დროს ქართველმა ხელოსნებმა საკუთარის სახელოსნოების დაარსებაც დაიწყეს. ამ მოკლე დროში მაგალ., ტფილისში დაარსდა ორი ახალი სახელოსნო: ერთი იმყოფება მიხეილის ქუჩაზედ და ეკუთვნის ხელოსნებს: ბ-ნთ აბრამ ცრიმანაურს და ს. ბერძენიშვილს, მეორე სახელოსნო არის ავჭალის ქუჩაზედ და ეკუთვნის ბ. ილია ბადრიძეს; ამ სახელოსნოში მუშაობს რამდენიმე შეგირდი და ქარგალი.

ტფილისში 1000 კაცზედ მეტი ითვლება ქართველი მეჩექმე, მაგრამ მათ შორის ათ კაცს ვერ ვნახავთ, რომ სადმე რიგიანი სახელოსნოები ჰქონდეთ და შიგ ორ ქარგალს და ოთხ შეგირდს ამუშავებდეს.

საზოგადოდ ქართველ მეჩექმეთა ცხოვრება მეტად დაქვეითებულია. თუ რომელსამე მათგანს საკუთარი სახელოსნო მოეძებნება, ისიც უხეიროა. უსუფთაობაც მათ შორის იშვიათი არ არის. ხშირად საქმესაც რიგიანად ვერ ასრულებენ. ლოთობასაც მისდევენ, რამაც მათ უკვე სახელი გაუტეხა. ისინი იმ აზრისანი არიან, რომ მეჩექმე უთუოდ ლოთი უნდა იყოს, ამით მათ ხარაზებმა არ უნდა აჯობონო და სხ..

მათი შეგირდების მდგომარეობა კიდევ უფრო სამწუხაროა: მთელის ტფილისის ქართველ მეჩექმეთა სახელოსნოებში შეგირდს ვერ ჰნახავთ, რომ ან ტანისამოსი ჰქონდეს სუფთა, ან ლოგინი, ან ფეხსაცმელი. ხშირად შეხვდებით იარმუკაზედ მეჩექმის შეგირდს, რომელსაც ფეხზედ დაგლეჯილი წაღები აცვია, ხელში-კი ახლები უჭირავს გასასყიდად. მათ სმა-ჭამასაც ხომ ხუდარ იტყვით...

## მიწის ძვრის ამბავი.

20 დეკემბერს პოლიცია შეუდგა იმ სახლების დათვალიერებას, რომლებიც 19 დეკემბერს მიწის ძვრას დაუზიანებია.

—

19 დეკემბერს მომხდარ მიწისძვრის დროს ამიერ კავკასიის საქალებო ინსტიტუტის ეკლესიის გუმბათიდგან ჯვარი გადმოვარდა, მაგრამ არავინ დაუშავებია. ინსტიტუტის უზარმაზარი შენობა სრულიად არ დაზიანებულა.

—

გუმბრი. 19 დეკემბერს, შუადღის 1-ლ საათსა და 45 წუთზედ იქაც ძლიერი მიწის ძვრა ყოფილა, რომელმაც 30 წამს გასტანა თურმე. ზოგიერთ სახლებში კედლები გარღვეულა. ნაშუადღევის 4 საათსა და 38 წუთზედ მიწის-ძვრა იქაც გამეორებულა, მაგრამ უფრო სუსტად.

—

ახალქალაქი. 19 სექტემბერს ორს საათსა და 5 წუთზედ იქ ძლიერი მიწის ძვრა იყო. სახლების ზრიალმა და რყევამ მთელი ქალაქი ააფორიაქა და ყველა მცხოვრებთ თავ-ზარი დასცა, მრავალი სახლი ძლიერ დაზიანდა. ბარალეთის ნაწილში აუარებელი სახლები დაიქცა, ძლიერ დაზარალდა 10 სოფელი: ბეჟანო, ალათუბანი, კოჟო, იხტილა, მერენია, გოსზაღარი, სამსარკიშლი, დიდი აოავთერი, არაგავა და მაჯაჯია. დაიღუპა მრავალი ხალხი და საქონელი. მცხოვრებნი და საქონელი გარეთ დარჩნენ. გაჭირვება დიდია სახლებისა, პურისა, ტანისამოსისა და შეშის უქონლობის გამო. ნანგრევებ ქვეშ მოყოლილნი ჯერ არ ამოუღიათ. საჭიროა დიდი დახმარება. დაზარალებულთა უმწეო მდგომარეობა აუწერელია, სიცივე და მკაცრი ზამთარი კიდევ უფრო აორკეცებს გაჭირვებას. მაზრის უფროსი ჯარით გაემგზავრა დაქცეულ სოფლებში დახმარების აღმოსაჩენად. ქალაქი და ბოლდანოვსკის ნაწილი უფრო ნაკლებად არის დაზარალებული. ამ სამწუხარო ამბის გამო ტფილისის გუბერნატორმა დაუყოვნებლივ ღონის-ძიება იხმარა დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

—

ახალ-სენაკი. კვირას, 19 დეკემბერს, ნაშუადღევის ორს საათს 10 წამი აკლდა, როდესაც მიწა საშინლად იძრა. მიწის-ძვრამ სამი ოთხი წამი გასტანა. ხალხი ძალიან შეშინდა, ყველა გარედ გარბოდა.

—

დაბა ზუგდიდი. ცხრამეტს დეკემბერს, ნაშუადღევს 12 საათზედ საშინელი მიწის-ძვრა მოხდა აქ. სოფელში ბევრი სახლი დაშავდა. თვით ზუგდიდში ხალხი ძალიან შეშინდა. ზოგგან ფანჯრების მინები დაინტვრა, ზოგგან კედელ შურშული გადმოცვივდა. ხალხი ღმერთს მადლობას სწირავს მშვიდობით გადარჩენისათვის.

—

ბორჯომი. 19 დეკემბერს, ნაშუადღევს 1 საათსა და 50 წუთს აქ საშინელი მიწის-ძვრა მოხდა, რომელმაც 25 წამი გასტანა. მიწის-ძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ არც ერთი შენობა არ გადარჩა დაუზიანებელი. ზოგგან გაირღვა კედლები, დაინგრა ბუხრები, დაინტვრა ფანჯრის შუშები. უფრო დაშავდა ქვითკირის შენობები, მათ შორის ბ-ნ იოსელიანის ორ-სართულიანი სახლი და ის სახლი, სადაც ბორჯომის პოჩტა სდგას. ზოგგან კედლებიდგან ქვები ჩამოცვივდა. დაღუპვით არც ერთი კაცი არ დაღუპულა. ხალხი კი ძალიან შეშინდა. ყველა წივილ-კივილით გარეთ გარბოდა. მიწის-ძვრის შემდეგ ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ მშვიდობით გადარჩენას.

არც ერთი სასახლე დიდის მთავრებისა არ დაზიანებულა.

## ქალაქის საბჭო.

20 დეკემბერი

გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ წარსულ წელში ცხენის რკინის გზის გამოსყიდვას რომ ვაპირებდით, ამ გზის ინვენტარის შესაძენად 68,701 მანეთი დავგეხარჯა ქალაქის მიმდინარე ანგარიშიდგანო. რადგან გზის გამოსყიდვა არ მოხერხდა და აგრეთვე იჯარით იმის გაცემაც ვერ მოვასწარით წლეულს, რათა გაგვენაღდებინა ინვენტარი, ნება მოგვეცით მომავალი წლის თანხიდგან ეს 68,701 მან. შევავსოთო.

ხმ. თაიროვი. გამგეობას ნება ჰქონდა 85,000 მან. აეღო სესხად.

გამგეობის წევრი თავ. ა. მ. არღუთინსკი. ეს მართალია, მაგრამ გზის იჯარით გაცემას დღე-დღეზედ მო-

---

მინდვრები, მინდვრებს იქით შავად მოსჩანდა ტყეები; მხოლოდ დასავლეთ აღმოსავლეთისკენ აზიდულიყო კავკასიონის ბრგე ქედი....

მთელი ღამე არ დაუძინიათ ჩერქეზებს. მათი სიმღერა, სიცილ-ხარხარი, ლაპარაკი და ტაშ-ფანდური შორს გაისმოდა. ბედნიერი იყო ქუნჩუკი, რაკი თავისს გვერდით ჰხედავდა მშვენიერს სატრფოს გულლის, რომელიც სიყვარულით აღსავსე შესცქეროდა.

— როგორ შემოხვედით ანაპში, ქუნჩუკ? ალერსიანად შეეკითხა გაღიმებული გულლი.

— გალავნის დარაჯმა მამთალიმ შემოგვიყვანა...

— მამთალიმ?!,. გააწყვეტინა გაკვირვებით გულლიმ.

ამის გაგონებაზედ ყმაწვილი ქალი როგორღაც აკანკალდა, ფერი წაუვიდა და სახეზედ სიძულვილისა და ზიზღის ელფერმა გადაჰკრა.

— რა მოგივიდა, გულლი, რად აკანკალდი? განცვიფრებით ჰკითხა ქუნჩუკმა.

— მაშ ეხლა სად არის... რა იქნა?

— ფაშამ მოჰკლა.

— ოჰ, მაშ ღირსეულად მომკვდარა! როგორღაც აღტაცებით წამოიძახა გულლიმ.

— როგორ?

— ღირსი იყო სიკვდილისა.... ვერაგი! ზიზღით დაუმატა ქალმა: ჩემი მოტაცებით ჰსურდა სიმდიდრე და სახელი მოეხვეჭა ფაშისაგან, მაგრამ რაკი ფაშამ უთხრა, რომ დღეს ოქროსათვის ეგ ჩაიდინე და ხვალ შეიძლება მეც გამყიდოო, საზიზღრად უღალატნია იმისთვისაც!...

— როგორ, მამთალიმ მოგიტაცა?!. წამოიძახა გაკვირვებულმა ქუნჩუკმა.

— ის სულმდაბალი დამმობით შემომფიცა, უნამუსოდ მომატყუა, ვითომ შენ გამოგეგზავნა... მეც დავუჯერე და ფაშის ჰარამხანაში-კი მიმიყვანა.

— ძაღლი ძაღლურად მომკვდარა, კბილის ღრაჭუნით სთქვა ქუნჩუკმა. ყოველი მაგნაირი სულით დაცემული კაცი მაგისთანა ბოლოს უნდა მოელოდდეს!... ეჰ, დავანებოთ იმაზე ლაპარაკს თავი, გულლი, მიუბრუნდა გრძნობა-აღძრული შეყვარებული, რაც იყო-იყო, ეხლა ხომ ერთად ვართ, ერთმანეთს ვეკუთვნით სამარემდე...

ქუნჩუკის სიტყვებზედ გულლის სახეზედ ალმური აუვარდა, თვალებში სიყვარულის ცეცხლი აღენთო. ვარდის ფერი ტუჩები გაეღიმა და გახურებული თავი საყვარელის გმირულ მკერდს დააყრდნო.

ირაჟრაჟა. ამხანაგების ხმაურობამა და ჩოჩქოლმა გამოარკვია შეყვარებულნი ბედნიერ თავ-დავიწყებისაგან.

— რა ამბავია! გაისმა რიხიანი ხმა ქუნჩუკისა.

— ნაგაელები მოგვდევენ, აი სად მოდიან ეგ ძაღლები, მოვარდა ერთი ჩერქეზთაგანი.

— რამდენიმემ გულლი და ტყვეები წყალს გადაიყვანეთ როგორმე და დანარჩენები აქ დაუხვდეთ. აბა ცხენები ჩქარა, შესძახა ქუნჩუკმა.

ღვთის რისხვით დაესხნენ მუჭა ჩერქეზობას სიმრავლით გათამამებული ნაგაელები. იშიშვლეს ხმლები ჩერქეზებმაც და გააფრთებულნი ეკვეთდნენ მტერს. ატყდა სასტიკი ბრძოლა. ორივე მხარე მედგრად იბრძოდა. ძვირად უსვამდნენ ერთმანეთს თითო წინ წამდგარ თამამ ნაბიჯს. სიმრავლემ დასძლია ჩერქეზების თავგანწირული ვაჟკაცობა. ქუნჩუკი, როგორც ელვა, დაჰქროდა ბრძოლის ველზედ და თავისის ვაჟკაცობით ამხნევებდა ამხანაგებს, ხან ერთს გუნდს შეუტევდა, ხან მეორეს, მაგრამ ჰხედავდა-კი, რომ მისი მხედრობა თან და თან ილეოდა.

ამ განწირულ დროს თვალი მოჰკრა, რომ რამდენიმე ნაგაელი წასულიყო ტყვეების წასართმევად და ზედ მდინარის კიდეზედ გარს შემორტყმოდნენ. გაჰკვეთა ხმლით ქუნჩუკმა გზა და გაექანა საყვარლისაკენ. შევარდა შუა გულში, სადაც იმყოფებოდა გულლი და სასოწარკვეთილმა დაიძახა:

— გულლი, შენ ნუ მოკვდები, თავი სიკვდილს გადაარჩინე..

— არა, ქუნჩუკ, მივარდა ქალი, შენ არ მოგშორდები... შენთან... შენთან სიკვდილი, რომ საიქიოს მაინც ვიყოთ ერთად!..

ამ სიტყვის გაგონებისთანავე მივარდა ქუნჩუკი ყმაწვილს ქალს, აიყვანა მარცხენა ხელით, მარჯვენით მოიმარჯვა ხმალი და თუმცა დასუსტებული იყო რამდენიმე ჭრილობით, ისეთის რისხვით შეუტია გარშემორტყმულ გალაღებულ მტერს, რომ ნაგაელები შეკრთნენ და გზიდგან ჩამოეცალნენ.

აჰა სხაგუაში მიაქანებს მდორედ ტალღებს ყუბანისაკენ, მხოლოდ იმ დაკიდულ კლდიან კიდესთან, რომელზედაც მივიდა ქუნჩუკი, სდუღს, ქაფს ჰყრის და კიდეს ნატყორცნი, გაშმაგებული, ქაფად ქცეული ტალღები ღრიალით უკანვე ეცემა...

— მიგვიღე შენი ბედისაგან განწირული შვილები, სხაგუაშო!... წამოიძახა ქუნჩუკმა და გულლითურთ კიდიდგან მდინარეში გადახტა...

ალელდა სხაგუაში. ტალღა ტალღას ეცა ღრიალით და შთანთქა თავისს უფსკრულში ორივე შეყვარებული!

—

იმ კიდეს, რომლიდგანაც ქუნჩუკი გადახტა, ჩერქეზები „ქუნჩუკის ნახტომს" უწოდებენ.

ივ. ბ—ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოდით. ეხლა სულ რამდენიმე დღე დარჩა ახალს წლამდისინ და ასე მოკლე ხნის განმავლობაში არ მოხერხდება სესხის აღება; ფული-კი საჭიროა ეხლავე.

საბჭომ შეიწყნარა გამგეობის წინადადება, მაგრამ იმ პირობით, რომ მომავალ წლის პირველ ორი თვის განმავლობაში თუ ვერ გაანაღდა რკინის გზის ინვენტარი და ვერ შეავსო დახარჯული ფულები, სესხი აიღოს და იმით გაისტუმროს ვალი.

გამგეობის წევრი თავ. ა. მ. არღუთინსკი. დღეს დავკალით ყასაბხანაში საშინჯი საქონლები, რათა გაგვეგო თუ რა ფასში შეიძლება ხორცის გაყიდვა. ნიხრის გამწესებელ კომისიის წევრი ვეღარ მოვიწვიე, რადგან დაგვიანდებოდა ნიხრის დაწესება, რომელიც ძლიერ საჩქარო საქმეა. გამგეობამ გადასწყვიტა ძროხის ხორცი გაიყიდოს გირვანქა 9 კაპ., სუკი—15 კაპ., ცხვრის ხორცი—8 კაპ., ღორისა—8 კაპ. ღორის ბარკალი—10 კაპ.

ხმ. ა. ს. ბაზოვი. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭომ სურვილი განაცხადა, რომ ქალაქმა თითონ გახსნას ხორცის დუქანი და გამგეობაც შემოგვპირდა. უნდა დააჩქაროს გამგეობამ ამ საქმის განხორციელება, თორემ აქ რა ფასიც უნდა დავადგინოთ, ყასბები მაინც თავისას არ იშლიან და როგორც სურთ, იმ ფასში ჰყიდიან ხორცს.

ა. მ. არღუთინსკი. გამგეობას არ დაჰვიწყნია თავისი დანაპირები და ასეთს დუქანს დიდს მნიშვნელობასაც აძლევს, მაგრამ ეს საქმე დიდს ხარჯს თხოულობს და ჩვენ-კი ეხლა ისეთს მდგომარეობაში ვართ, რომ ფულის დახარჯვაც არ შეგვიძლიან.

საბჭომ დაამტკიცა ახალი ნიხრი.

გამგ. წევ. ა. მ. არღუთინსკი. ა. ი. მანთაშევმა შემოსწირა ქალაქს ხუთი ქვაბი (ცისტერნა) ნავთი, რომლის აქციზი და გადმოტანის ქირა თითონვე გადაიხადა. ეს ნავთი, შემომწირველის სურვილის თანახმად, უნდა მივჰყიდოთ ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ ფუთი არა უმეტეს 1 მან., ხოლო ამისაგან შემოსული ფულით შეშა და ნახშირი უნდა ვიყიდოთ და უფასოთ დავურიგოთ ღარიბებს. გამგეობის აგენტები ჰყიდიან ნავთს ქალაქის უფრო ღარიბ ნაწილებში მოედანზე და წყლის მილის ონკანებთან გირვანქას $2^1/_2$ კაპ.; თითო კაცს 4 გირვანქაზედ მეტს ვერ მიჰყიდიან. ქალაქის მოურავი სთხოვს საბჭოს,—აირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა იკისროს შემოსული ფულით შეშისა და ნახშირის ყიდვა და ღარიბთათვის დარიგება.

ხმ. თაიროვი. რადგან იშვიათი ზამთარია და ღარიბ ხალხს ძლიერ უჭირს ცხოვრება და ბ-ნ მანთაშევის შემოწირულება ბევრს ვერ გასწვდება, ამავე კომისიას დავავალოთ—ხელის მოწერა გაჰმართოს ღარიბების სასარგებლოთ.

ხმ. არ. ბაზოვი. ჩემის აზრით, საჭიროა 1000 მანეთი გადავსდოთ ქალაქის თანხიდგან ამავე საგნისათვის. ვალდებული ვართ მივეშველოთ ღარიბ მცხოვრებთ; სხვა წარჩინებული ქალაქებიც ასე იქცევიან.

ხმები. რა საჭიროა კომისია? ისევ გამგეობას მივახდოთ.

ქალაქის მოურავი. გამგეობას ბევრი დიდ-მნიშვნელოვანი საქმე აქვს გასაკეთებელი და ამისათვის ვერ მოიცლის.

ხმ. ტერ-ასატუროვი. არ შეიძლება, სხვას გადავცეთ ფულები, რომელიმე საქველ-მოქმედო საზოგადოებას, და იმან მოახმაროს ის ღარიბებს?

ა. მ. არღუთინსკი. სხვას რათა? ჩვენ-კი ვერ მოვახერხებთ?

ხმ. ტერ-ასატუროვი. წინაზედაც რამდენჯერმე გვქონია ასეთი შემოწირულება და იმის დარიგებას ყოველთვის უსიამოვნება და ათასი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია ხოლმე.

ქალაქის მოურავი. ვისა ჰსურს, რომ კომისია იქმნეს არჩეული?

უმეტესობა სურვილს აცხადებს.

ქალაქის მოურავი. ვისა სურს, რომ ამავე კომისიას დაევალოს შემოწირულების შეგროვება?

ხმ. თავ. ნ. გ. არღუთინსკი. ჯერ ჩვენ ვაჩვენოთ სხვებს ქველმოქმედების მაგალითი და მერმე მათგან მოვითხოვოთ.

ქალაქის მოურავი. ვინ არის თანახმა, რომ ქალაქმა 1000 მან. გადასდოს ღარიბთა სასარგებლოდ?

უმეტესობა სურვილს აცხადებს. აგრეთვე დაევალა კომისიას, რომ შემოწირულებანი მიიღოს, ფულად იქნება თუ საქონლით (შეშა, ნახშირი და სხ.), კომისიის წევრებათ კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ ხმოსნები: ა. ს. ბალდასაროვი, ი. ს. ბუღდანოვი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, ი. ა. სულხანოვი, ა. გ. ირიცპუხოვი და ი. მ. აკოფოვი.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ქალაქის საქმეთა საგუბერნიო გამგეობის საკრებულოს დადგენილება ტფილისის ქალაქის 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. ხსენებულ საკრებულოს აზრით ხარჯთ-აღრიცხვა ისე ვერ არის შემდგარი, როგორც რიგი და წესია; იმას ბევრი რამ ნაკლულევანება აქვს. ამის გამო ბ-ნს გუბერნატორს მოუწერია ქალაქის მოურავისათვის, რომ ხელ-ახლა შეადგინეთ ხარჯთ აღრიცხვა და ის ნაკლულევანება გაასწორეთ, რომელიც საკრებულომ აღმოაჩინაო. ქალაქის გამგეობას ამის გამო დაუდგენია: ვერ ვეთანხმებით საგუბერნიო გამგეობის დადგენილების მე-III, მე-XVI, მე-XXIV და მე-XXV მუხლს და აგრეთვე იმასაც, რომ ხელ-ახლა იქმნას შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა, ხოლო დანარჩენი შენიშვნები აღსრულებულ იქმნასო.

საბჭო დაეთანხმა გამგეობის დადგენილებას.

დასასრულ კრება შეუდგა ქალაქის მომავალი წლის გასავლის ანგარიშის განხილვასა და, ცოტაოდენის ცვლილებით, წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვის ოთხი მუხლი.

---

### ორიოდე სიტყვა საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ შესახებ.

წელს ათი წელიწადი უსრულდება საყმაწვილო ჟურნალს „ჯეჯილს“. სწორედ ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა პირველი ნომერი ამ ჟურნალისა. ათი წელიწადი არც ისე მცირე ხანია ქართულ ჟურნალ-გაზეთის, განსაკუთრებით საყმაწვილო ჟურნალის, არსებობისა, რომ მწერლობამ ყურადღება არ მიაქციოს და არ აღნიშნოს ეს გარემოება. ჩვენში ისე ძნელად იკიდებს ფეხს დრო გამოშვებით გამოცემა, საზოგადოება იმდენად არ არის ჯერ კიდევ შეჩვეული ჟურნალის ან გაზეთის კითხვას, რომ სწორედ სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს „ჯეჯილის“ ათის წლის არსებობა, ვინაიდგან ეს გარემოება საზოგადოების წინ-მსვლელობის, კულტურულის ზრდის მომასწავებელია.

დღეს ყოველგან საანბანო ჭეშმარიტებად არის მიჩნეული, რომ ბავშვის გონების გამოსავითარებლად საკმაო არ არის სკოლა. პირ-იქით ხშირად სკოლა თავისის მშრალის საგნებით და მექანიკურის გაზეპირებით ბავშვს გონებას უხშობს, სწავლის ხალისს უკარგავს და გულს უცრუებს. სახელმძღვანელოსთან ერთად ბავშვს იმის გონების შესაფერი საკითხავიც უნდა მიეცეს, ისეთი საკითხავი, რომლის შემწეობითაც შეეძლოს პატარაობითვე გაიცნოს ცხოვრების ავი და კარგი, შეისწავლოს ბუნების ესა თუ ის მოვლენა. ასეთი საკითხავი ბავშვს გამოაფხიზლებს, ფიქრსა და გონებით მუშაობას მიაჩვევს და ქვევრიულს არა-სასურველ ზნეს გადააჩვევს ჩამძახილის ამომძახებისას. ასეთი მასალა მოსწავლე ბავშვებს საყმაწვილო ჟურნალის შემწეობით ეძლევათ.

ძნელად მოიპოვება ისეთი ცოტად მაინც განათლებული ერი, რომელსაც ერთი საყმაწვილო ჟურნალი მაინც არ მოეპოვებოდეს. კულტურით დაწინაურებულ ერებს ხომ ასეთი ჟურნალი უთვალავი აქვთ. ამასთან, მხედველობაში იქონიეთ, ცალკე ჟურნალებია სულ მცირე წლოვან ბავშვებისა, მოზრდილებისა და უფრო დიდებისათვის. ჩვენთვის, რასაკვირველია, ჯერ კიდევ შორს არის ის დრო, როდესაც ასეთი საყმაწვილო ჟურნალები გვქონდეს; ჯერ-ჯერობით ერთი ჟურნალი გვაქვს და აი დღეს, ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ ჟურნალის არსებობას ათი წელიწადი შეუსრულდა.

მაგრამ ამ სასიამოვნო ამბავთან ერთად მკითხველებს სამწუხარო ამბავიც ეცოდინებათ. თვით „ჯეჯილის“ რედაქცია არა ერთხელ აცხადებდა და სხვა გაზეთებშიაც რამდენჯერმე ეწერა, რომ რედაქცია გაჭირვებულია, ჟურნალს ხელის-მომწერნი არა ჰყავს და იმის გამოცემა შეუძლებელი ხდებაო. ჩვენ აქ ამ მოვლენის მიზეზების გამოკვლევას არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ეხლა, როდესაც ჟურნალმა ათის წლის მანძილი განვლო, იმის მოსპობა და გაუქმება, გვონებთ, ყველასათვის მეტად სამწუხარო იქმნება.

როგორც თვით „ჯეჯილის“ რედაქცია აცხადებს, შობის მეორე დღეს, 26 დეკემბერს, „წერა-კითხვის საზოგადოების სამკითხველოში“ ჟურნალის ათის წლის ანგარიში იქმნება წაკითხული. რედაქცია ყველა მსურველსა და გულ-შემატკივარს იწვევს ანგარიშის მოსასმენად და ჟურნალის საქმეების გამო მოსალაპარაკებლად. სასურველია, ამ კრებაზედ მაინც გამოირკვეს ის მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიდნენ საყმაწვილო ჟურნალის წარმატებას რათა შემდეგში მაინც აცილებულ იქმნან თავიდგან ეს მიზეზნი.

ი. ა—ძე

---

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ინგლისურ გაზეთებს გაცხარებული ლაპარაკი აქვთ იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლო ანუ საზიანო იქნება ინგლისისათვის დელაგოას ნავთსადგურის დაჭერა. „Pall Mall Gazette“-ს აზრით, ამ ნავთ-სადგურის დაჭერა საგიჟე იქნება ინგლისის მხრივ, რადგან ამ გარემოებას შეუძლიან გამოიწვიოს ევროპის სახელმწიფოთა ჩარევა საქმეში, ხოლო ინგლისის ინტერესები მოითხოვს, არავითარი საბუთი არ მისცეს არავის ინგლის-ტრანსვაალის ომში ჩარევისა. რაც შეეხება პორტუგალიას, რომელსაც ყველაზედ მომეტებულად აინტერესებს დელაგოა და ლორენცო-მარკეზე, ის, როგორც გაზეთი ჰფიქრობს, ამასაც კი ვერ შეურიგდება, რომ ინგლისმა დროებით დაიჭიროს ეს ადგილი. საკვირველი არ არისო,—განაგრძობს „Pall Mall Gazette“,—რომ პორტუგალიას სურს,—ტრანსვაალმა გაიმარჯვოს, რადგან მისი მეზობლობა უფრო ნაკლებად არის საშიში, ვიდრე ინგლისისა, რომელიც მუდამ მზად არის სხვის მიწა-წყლის დაპატრონებისო. საინტერესოა ამ საგნისვე შესახებ გერმანულ გაზეთის „Hamb. Nachr“-ის სიტყვები. გაზეთის აზრით, „ეჭვს გარეშეა, რომ თუ ინგლისელებმა მოახერხეს ბურების განადგურება, გერმანიის მფლობელობას აფრიკაში ხიფათი მოელის... ბურებთან-კი გერმანიას ყოველთვის შეუძლიან იქონიოს მშვიდობიანი მეზობლური განწყობილება“.

---

### დემავვორდო

სიტკბოება სიყვარულისა სასიამოვნოა, მაგრამ როდესაც ეს სიამოვნება ფულადა ჰღირს, პილპილზედ უმწარესი ხდება.

კოლლექტორი

* * *

შემოსე ზნეობა და გონება და არა ტანი ხორცი, თუ გსურს მშვენიერ იყო.

ლასურიძე

---

### ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

მგონი არც ერთი გვარი არ არის ისე გავრცელებული, როგორც ივანოვი. ამ გვარისა რუსეთის იმპერიაში რუსებიც არიან, ქართველებიც, სომხებიც და სხვა ტომის ხალხნიც. პეტერბურგში არსებობს საადრესო სტოლი. ამ დაწესებულების უფროსს საყურადღებო სტატისტიკური ცნობები შეუკრებია გვარის ივანოვის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, მარტო პეტერბურგში 64,000 ივანოვი სცხოვრობს, ამათში 35,000 მამაკაცია, ხოლო 29,000 დედაკაცი. ეს კიდევ არაფერი: ამ რიცხვიდგან 3,000 ივანე ივანეს ძე ივანოვია.

* * *

ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება ერთი ბერძენი, ვინმე პერიკლ დიამანდი. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ეს ბერძენი საოცარის მეხსიერების პატრონი ყოფილა. დიამანდის ზეპირად შეუძლიან თურმე ისეთი რთული ანგარიშები მოახდინოს, რომელსაც მათემატიკოსი დაწერითაც ძლივს მოახერხებს. საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიას აზრადა ჰქონია ეს შესანიშნავი კაცი ერთის სეანსისთვის მიიწვიოს. პარიჟის სამეცნიერო აკადემიას უკვე მიუწვევია და დარწმუნებულა, რომ დიამანდი მართლა დიდის ნიჭით არის დაჯილდოვებული. დიამანდის ხელად შეუძლიან თურმე გაამრავლოს ან გაჰყოს მრავალ რიცხოვანი ციფრები. ან კიდევ დაფაზედ შეგიძლიანთ დასწეროთ ციფრები, რიცხვით რამდენიც გნებავთ, თუნდა 100, დიამანდი ერთხელ გადაავლებს თვალს და მერე ზეპირად გაიმეორებს.

* * *

გერმანიაში ამ ბოლოს დროს წინ აღუდგნენ გძელის, კუდიანის კაბების ტარებას. განსაკუთრებული კავშირიც-კი (ფერეინი) დაარსდა იქ, რომელსაც აზრადა აქვს ბოლო მოუღოს შლეიფიან კაბების ხმარებას. კავშირს განუზრახავს მთავრობას მიჰმართოს და სთხოვოს, რომ განსაკუთრებული კანონი იქმნას გამოცემული კუდიანის კაბების ტარების წინააღმდეგ. მცოდნე კაცების სიტყვით, ასეთის კაბების ხმარება მეტად მავნებელია თურმე. როგორც ვუწყით, ქუჩის ტალახსა და მტვერში მრავლად ბუდობენ სხვა-და-სხვა სენის მიკრო-ორგანიზმები, განსაკუთრებით-კი ჭლექის ბაცილები. აი სწორედ ამ ბაცილებსა და მიკრო-ორგანიზმებს მოჰხვეტავენ ხოლმე ქალები თავიანთის შლეიფებით და მიათრევენ შინ. მრავალი ავადმყოფობა, უფრო-კი ქალთა ავადმყოფობა, შლეიფების წყალობით ვრცელდება, ამას გარდა ბევრნი სამართლიანად იმასაც ამბობენ, რომ ასეთ კაბას არავითარი შნო და ლაზათი არა აქვსო.

* * *

ყველამ კარგად იცის, რომ მელა მეტად მფრთხალი ცხოველია და იმის მოშინაურება ძნელია. მაგრამ ამისდა მიუხედავად, ისეთი მაგალითები მაინც ყოფილა, რომ მელა მოუშინაურებიათ. აი ერთი ინგლისელი რას მოგვითხრობს ამის შესახებ: ამ ინგლისელს ტყეში მელის სოროსათვის მიუგნია და სამი ლეკვი წაუყვანია შინ. მალე ეს ლეკვები ისე მიეჩვივნენ ინგლისელის სახლს, რომ ეზოში თავისუფლად დასეირნობდნენ და თითქმის არავის არ ერიდებოდნენ. უმეტეს ნაწილად დროს თაგვების ჭერაში ატარებდნენ. დაჭერილ თაგვს მელები ჯერ დაახრჩობდნენ, შემდეგ მიწაში ჩასდებდნენ ხოლმე. რამდენისამე ხნის შემდეგ, როდესაც თაგვი გაიხრწნებოდა, ამოიღებდნენ ხოლმე მიწიდგან და ლაზათიანად შეექცეოდნენ. ხილიც ძალიან უყვარდათ მელებს, განსაკუთრებით ქლიავი და ყურძენი. ორი მელა ისე გაშინაურდა, რომ როდესაც უცნობს ვისმეს დაინახავდნენ, მივიდოდნენ და იმის ჯიბეების ჩხრეკას შეუდგებოდნენ. ინგლისელის სიტყვით ერთ მელას 10 წელიწადი უცოცხლნია, მეორეს—13, ხოლო მესამე შვიდის წლის შემდეგ სადღაც დაკარგულა.

---

### გამოსადეგი ცნობა

ერთის საზღვარ გარეთის სამკურნალო ჟურნალის სიტყვით, არაფერი არ უმაგრებს ისე ადამიანს სხეულს და არ უმშვიდებს მოქანცულს მარღვებს, როგორც ისეთს წყალში ბანება, რომელშიაც უოკელ ვედროში 8 მისხალი ნიშადურია გარეული.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 დეკემბერი

**ვიქტორია ბოადი.** 17 დეკემბერი. გუშინდამ სროლა ასტყდა ინგლისის ბანაკსა და ბურებს შორის. ამას წინად სცადეს რკინის გზის დარღვევა. ერთი დამნაშავე შეიპყრეს და დახვრიტეს; მეორე გაიქცა.

**ლონდონი.** როგორც „Times“-ს ლორენცო-მარკეზედგან აუწყებენ, რკინის გზების მთავარ-დირექტორი უარ ჰყოფს, ვითომ მას განეზრახოს მომავალ წლის დამდეგისათვის ტრანსვაალისაკენ რკინის გზის მიმოსვლის შეწყვეტა. 19 დეკემბერს ფრერთან, როგორც იქიდგან დეპეშა იუწყება, ორჯერ მოხდა თავ-დასხმა, რომელმაც უნაყოფოდ ჩაიარა. ინგლისის ჯარი მთლად წვიმით გაიჟღინთა და დამარცხდა.

ოფიციალურად იუწყებიან: მეტუენის ბანაკი იმავე მდგომარეობაშია. ფრენჩი იტყობინება, ბურებმა პოზიცია დასტოვეს რენსბურგთან კოლესბერგისაკენ დასახევადაო. მე-21 ულანთა რაზმის როტმისტრი მონმარანსი შეეტაკა მტრის ჯარს, რომელიც მისს ჯარს რიცხვით სჭარბობდა, და ერთის დღის განმავლობაში იძულებული შეიქმნა უკუ-ქცეულიყო დორდრეხტისაკენ.

**ბერლინი.** 1 იანვარი (ახ. სტ.). ახალ საუკუნის დღესასწაულის გამო, იმპერატორმა ცეხგაუზში შემ-

დღეგის სიტყვით მიჰმართა ბერლინის გარნიზონის აფიცრებს: „ახალ საუკუნის პირველი დღე ჰხედავს ჩვენს ჯარს, ე. ი. ჩვენს შეიარაღებულ ხალხს, შეკრებილს თვისის დროშების საფარველის ქვეშ. ჯარი მუხლ-მოდრეკილი სდგას ღვთის წინაშე და, მართლაც, თუ ვისმე დღეს განსაკუთრებული მიზეზი აქვს მუხლი მოიდრიკოს ღვთის წინაშე, ეს, უეჭველად, ჩვენს ჯარს: ერთი დანახვა ჩვენის დროშებისა საკმარისია ამის ასახსნელად; რადგან ეს დროშები არის ჩვენის ისტორიის განხორციელება. რა პირობებში იმყოფებოდა ჩვენი ჯარი გასულ საუკუნის დამლევს? ფრიდრიხ დიდის სახელოვანი ჯარი დაწვრილმანდა; ამას წინამძღოლობდნენ ბებერი, საომრად უვარგისი გენერლები; მისი აფიცრები გადაეჩვივნენ ნაყოფიერ მოქმედებას და განცხრომას მიეცნენ. ერთი სიტყვით, ჯარი არა თუ ღირსეულად არ ასრულებდა თავისს დანიშნულებას, არამედ სრულიად დაივიწყა იგი. მას ღმერთმა სასტიკი სასჯელი მოუვლინა, რომელმაც დაღი დაასვა ჩვენს ხალხს. იგი დაემხო, ფრიდრიხის სახელი შესუსტდა, მისი დროშები გაქარწყლდა. მრავალ წლის განმავლობაში ჩვენს ხალხში იმალებოდა ის აზრი, რომ სამხედრო სამსახური სამშობლოს წინაშე, მისთვის ქონებისა და სისხლის შეწირვა უდიდესი პატივია. პაპა ჩემმა საზოგადო სამხედრო ბეგარას სახე და სიცოცხლე მისცა, და ახლად დაბადებული ჯარი და მისი ახალი დროშები დაფნის გვირგვინებით იქმნა შემკობილი. ნამდვილი მნიშვნელობა საზოგადო სამხედრო ბეგარამ მოიპოვა მხოლოდ ჩვენის განსვენებულის დიდის იმპერატორის მეოხებით. კაბინეტის მყუდროებაში მან შეიმუშავა ჯარის გარდაქმნის პროექტი და იმ უგუნურის წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელიც მას გაუწიეს, წარმატებით დაგვირგვინდა მისი საქმე; ამასთან, მისი ჯარი, რასაც არავინ მოელოდა, სიმხნით აღივსო, ხოლო მისმა სარწმუნოებამ უჩვეულო გამარჯვებანი არგუნა მას. იმის მეოხებით, რაც მან პირადად შექმნა, მან შეაერთა ხელ-მეორედ გერმანიის ტომნი და დაგვიბრუნა გერმანიის ერთობა, რომელსაც ჩვენ იმდენ ხანს ვესწრაფოდით. ამ ერთობამ ჩვენ ის სამსახური გაგვიწია, რომ, ჩვენის ჯარის მეოხებით, გერმანიას საპატიო ადგილი დააჭერინა ხალხთა შორის. ახლა, მოწყალენო ხელმწიფენო, თქვენი მოვალეობაა გამოიჩინოთ ის ღირსებანი, რომელთა შემწეობითაც ჩვენმა წინამოადგილეებმა აღამაღლეს ჩვენი ჯარი: უბრალოება, უეჭველი ერთგულება მეფის სამსახურისადმი, იმის სურვილი, რომ შესწიროთ მთელი თქვენის სხეულისა და სულის ძალ-ღონე შრომას ჩვენის ჯარის გასაძლიერებლად. როგორც პაპაჩემი მოექცა თავისს ხმელეთის ჯარს, მეც სწორედ დაუღალავად ვეცდები ჩვენის ფლოტის გარდაქმნას, რათა იგი გაუთანასწორდეს ძალით ხმელეთის ჯარს და მოუპოვოს გერმანიის იმპერიას, მის საზღვრებს გარედ, ის ადგილები, რომლებიც მას ჯერ კიდევ ვერ ჩაუგდია ხელში. შევაერთებ-რა ამ ძალთ და მტკიცედ ვსასოებ-რა ღვთის მარჯვენაზედ, ვიმედოვნებ, რომ განვახორციელებ ფრიდრიხ-ვილჰელმის მიერ თქმულ სიტყვებს: „ვისაც სურს ქვეყანაზედ რასმე მიახწიოს, იგი ამას კალმით-კი არ უნდა სცდილობდეს, არამედ ხმლის ძალით“.

21 დეკემბერი

**პეტერბურგი.** ცნობილი მწერალი დ. ვ. გრიგოროვიჩი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა.

**პარიჟი.** ოფიციალური მიღება ელისეის სასახლეში ჩვეულებრივის წეს-რიგით მოხდა. პაპის ნუნციმ ილაპარაკა 1900 წლის გამოფენის შესახებ, რომელიცაო, სთქვა მან, გაახსენებს ხალხთ, რომ ისინი ძმები არიანო. შემდეგ ნუნციმ სურვილი გამოსთქვა, რომ საფრანგეთი ამის შემდეგაც მუდამ სათავეში სდგომოდეს საქრისტიანო ცივილიზაციას. საფრანგეთის კეთილდღეობაო, დასძინა მან, თანაბრად საჭიროა, როგორც მსოფლიო მშვიდობიანობისათვის, ისე ეკლესიის დიდებისათვისაო. ლუბემ, მადლობა გარდაუხადა უთხვრა, რომ 1900 წლის გამოფენა ეს დიდებული სურათი მეცნიერებისა ხელოვნებათა და მრეწველობის განვითარებისა, ყველას დაანახვებს, რომ ამის შემდეგ სიძლიერე და სიდიადე მოპოვებულ აქმნას მხოლოდ მუშაკთა მშვიდობიანის ქიშპობის მეოხებითაო. დასასრულ პრეზიდენტმა სთქვა: „იმ სტუმართ მოყვარეობის საუკეთესო ჯილდო, რომელსაც ჩვენი ქვეყანა უწევს სხვა ერთ, მისთვის ის რწმენა იქმნება, რომ ეს ქვეყანა შესამჩნევად უწყობდა ხელს თანხმობას, რომელსაც ყველა ხალხნი ესწრაფვიან“.

**ლონდონი.** გაზეთებში გამოქვეყნებულია შემდეგი დეპეშა რენდსბურგიდგან: გენერალმა ფრენჩმა სასტიკად დაამარცხა ბურები, დაიჭირა ქოლესბერგი და მტერს ისე შეუკრა გზა შაბათს და კვირას, რომ დრო აღარ მისცა წინააღმდეგობის გასაწევად. დილით ინგლისის ჯარი მტრის სიშორის გამო ძავს არ დასხმია მას. გუშინ საღამოს მთელმა ჯარმა გაილაშქრა და თავს დაესხა ბურებს დიდის სიმარჯვით. აღმოსავლეთისაკენ გაიქცნენ და კოლსბერგი ინგლისელების ხელში დასტოვეს.

**პარიჟი.** უზენაესი სასამართლო. გერენი ამტკიცებს ანტისემიტთა ლიგის დაარსების საჭიროებას და კრიტიკულად არჩევს საპარლამენტო წეს-წყობილებას. გერენის ვექილმა მენარიმ სიტყვა წარმოსთქვა.

**მოდერ რივერი.** ბურებმა განაახლეს უწესრიგო ზარბაზნების დაშენა, რომელსაც ზარალი არ მოსდევს.

**სტერკსტრომი.** ინგლისის ჯარი წააწყდა ბურებს. ექვსის საათის ომის შემდეგ ბურებს ჯარი მოეშველა. ინგლისელები უკუ-იქცნენ დორდრეიხტისაკენ.

**ლონდონი.** „Times“-ი სწერს: დაგვიმტკიცა რამე ომმა თუ არა, იმაში კი დაგვარწმუნა, რომ ჩვენის ქვეყნის სამხედრო დაწესებულებათა ფართო ცვლილება აუცილებლად საჭიროაო.

**კაპშტადტი.** დორდრეხტში ინგლისის ჯარი ძლევა მოსილად შეეტაკა ბურებს, რომელნიც უკან დაჰხია.

**ბელგრადი.** მეფე ალექსანდრე მოვიდა აქ და ხალხი აღტაცებით მიეგება. მთავრობის წრეებში სიამოვნებას აცხადებენ იმ მიღების გამო, რომელიც მეფეს აღმოუჩინეს ვენის სასახლეში, და ამასთან ასახელებენ იმ ეკონომიურ ინტერესებს, რომელნიც სერბიას ავსტრი-უნგრეთთან აკავშირებენ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უღრმეს მადლობას ვუცხადებ ქ-ნ ალექსანდრა გვარამაძისას, რომელმაც ქ. ფოთში შეკრიბა, ბ-ნ მ. კლდიაშვილის და ხმარებით, ცეცხლით გადამწვარ გიორგი მახარობლიძისათვის 17 მან. 20 კაპ., ამასთანავე უგულითადესს მადლობას ვწირავ ყველას, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი.

სია შემომწირველთა:

პატარა ოთხი თვის მილიცა გვარამაძისამ 1 მან. და ფოსტის ფული, ავგერინო აგეზელაიმ 50 კაპ., სამანჯიმ 1 მან. 50 კაპ., ს. ლეიბმანმა 1 მან., გოგოლი ბერეჟიანისამ 1 მან., პავონი 1 მან., გამგეობამ 3 მან., ნინო ბერეჟიანისამ 1 მან., მიხეილ ვ. ნადირაძემ 50 კაპ., ალექსანდრე ტურკავამ 50 კაპ., ალექსი გრუშკოვმა 20 კაპ., მიხეილ თურქიამ 50 კაპ., ელიზბარ კვიდიამ 50 კაპ., ტრილმა 2 მან., № ბალანიკიმ 1 მან., ლოპატომ 50 კაპ., მოსე კლდიაშვილმა 50 კ., ლევტერმა 50 კ., ევგენიევმა 50 კ., სულ 17 მან., 10 კაპ. ეს ფულები მამა ილარიონ ქასრაძემ გიორგი მახარობლიძეს გარდასცა თავისს ხელით.

კ. ფრონისპირელი

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან:**

რადგან ქალაქ ტფილისში მეტად-გაძვირდა ნავთი, ნახშირი და შეშა, ტფილისის შთამომავლობითმა საპატიო მოქალაქემ ალექსანდრე ივანეს ძემ მანთაშევმა გადასცა ტფილისის ქალაქის გამგეობას ხუთი ვაგონი ნავთი, წონით 3500 ფუთამდე, იმ აზრით, რომ გამგეობამ ეს ნავთი მიჰყიდოს ტფილისის უღარიბესს მცხოვრებთ ფუთი 1 მანეთად, ანუ გირვანქა ორ კაპეიკ ნახევრად, ხოლო აქედგან აღებულის ფულით შეიძინოს შეშა და ნახშირი ღარიბთათვის უსასყიდლოდ დასარიგებლად. ამის გამო გამგეობა აცხადებს, რომ ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ 17 დეკემბრიდგან შეუძლიანთ შეიძინონ ნავთი შემდეგს ადგილებში:

1) ნავთლუღში, რეიტერის ქუჩაზედ, წყლის კრანტთან (ონკანთან).

2) კახეთის მოედანზედ, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის კანტორაში.

3) წმ. ნიკოლოზის ეკკლესიასთან ჩუღურეთში, წყლის ონკანთან.

4) ავჭალის მოედანზე, წყლის ონკანთან.

5) ნაძალადევში, წყლის ონკანთან.

6) დიდუბეში, ქალაქის ღამის თავშესაფარში.

7) ოლგას და წყნეთის ქუჩების კუთხეში, წყლის ონკანთან.

8) მამადავითის მოედანზე, წყლის ონკანთან.

9) მუხრანის ქუჩაზედ, წყლის ონკანთან.

10) თათრის მეიდანზედ, ქალაქის სასწორთან.

11) ვარანცოვის ქუჩაზე დ, ჩითახოვის ქარხნის პირდაპირ, ქალაქის ღამის პირველ თავშესაფარში.

ნავთი გაიყიდება გირვანქა ორ კაპეიკ-ნახევრად და ერთ კაცს მიეცემა არა უმეტეს 4 გირვანქისა.

გაყიდვა დაიწყება დღის 12 საათზედ და გასტანს საღამოს 5 საათამდე. შეშისა და ნახშირის უსასყიდლოდ დარიგების შესახებ ცალკე იქმნება გამოცხადებული. (3—6.—3)

**გამოვიდა და დაურიგდა**

ყველა წიგნის მაღაზიებს ძმათა თავართქილაძეების შემდეგი ახალი გამოცემანი: 1) კედლის ქართული კალენდარი 1900 წლისთვის 40 კ., 2) საყოველთაო ქართული კალენდარი ყოველი საკალენდარო ცნობებით და სალიტერატურო განყოფილებით 20 კ., 3) უბის წიგნი მშვენიერ ყდაში 30 კ., 4) პატარა კალენდარი 10 კაპ., 5) მეცნიერებისთვის წამებულნი სურათებით 1 მ., 6) ვეფხის-ტყაოსანი ლექსიკონით და სურათებით 30 კ., 7) რუსულ ქართული ლექსიკონი 300 გვერდი 45 კ., და სხვა და სხვა გამოცემანი. ვისაც სურს დათმობილ ფასებით იყიდოს, მიმართოს ბათომში თითონ გამომცემლების წიგნის მაღაზიას, ტფილისში მაქსიმე შარაძეს, ქუთაისში ნ. ჯანელიძეს.

დაიბეჭდა და იყიდება

**1900 წ.**

**ქართული**

**კედლის კალენდარი**

გრ. ჩარკვიანისა.

(წელიწადი XII)

უმთავრესი საწყობი წერა-კითხვის მაღაზიაში.

**ფასი 40 კაპ.**

გარეშე პირთ ამ ადრესით შეუძლიან გაიწერონ: Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности; дворц. ул. д. дворянства, № 101. (10—3.)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—57)

გამოვიდა სადღესასწაულოდ და დაურიგდა წიგნის მაღაზიებს გასასყიდად ახალი წიგნი 35 სურათით

**„საყმაწვილო საჩუქარი“**

(ქართულს კითხვაში savarjishoblad).

წიგნში დაბეჭდილია: 1) მოდი ვნახოთ ვენახი 9 სურ; 2) რწყილი და ჭიანჭველა 10 სურ.; 3) მეთევზის შვილი 12 სურ. და 4) ბატები და პატარა და-ძმა 4 სურათით. ფასი წიგნისა 20 კაპ. წიგნით მოვაჭრეებს დაეთმობათ 25%. ადრესი: Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомову. (1—209—1)

**„მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“**

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში | გამოვა ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | ფასი გაზეთისა გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლ. 6 თვით 3 თვით 1 თ. |
| 10 მანეთი 6 მანეთი 4 მანეთ. | 6 მან. 3 მ. 50 კ. 2 მან. 75 კ. |
| საზღვარ-გარედ წლიურად 13 მან. | საზღვარ-გარედ წლიურად 8 მან. |

წლიური ფასი შეიძლება განაწილდეს:

| | |
|---|---|
| პირველად—5 მან., 1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი. | პირველად—3 მანეთი, 1-ლ აპრილამდე—2 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—1 მანეთი. |
| რედაქტ. ალ. ჭყონია. გამომც. ალ. ჯაბადარი. | დროებითი რედაქტორი ალ. ჭყონია. |

განცხადების ფასი გაზეთში: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპეიკი, მეოთხეზე—5 კაპეიკი.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი: Тифлисъ въ редакцію „МОАМБЕ“ и „ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“